



**ბუღალტრული აღრიცხვის,
ანგარიშგებისა და აუდიტის
ზედამხედველობის სამსახური**

12 აგვისტო 2025



N150661

ქ. თბილისი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

„უცხოური საწარმოს ფილიალი „ლე ლაბორატუა სერვის“ წარმომადგენლობა“-ს მიერ წარდგენილ ანგარიშგებაზე ხარვეზის დადგენის შესახებ“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2025 წლის 2 ივლისის N 150226 ბრძანების ბათილად ცნობის თაობაზე

რისკების მართვის სისტემაში არსებული, საწარმოს მიერ წარდგენილი ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე, უცხოური საწარმოს ფილიალი „ლე ლაბორატუა სერვის“ წარმომადგენლობა” (ს/ნ - 202211338) (შემდგომ - სუბიექტი), რომელიც წარმოადგენს მე-3 (მესამე) ზომითი კატეგორიის საწარმოს, ვალდებული იყო „ბუღალტრული აღრიცხვის ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომ - კანონი) მე-9 მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტებით დადგენილ ვადაში, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურში (შემდგომ - სამსახური) წარედგინა 2024 წლის საანგარიშგებო პერიოდის ანგარიშგება.

კანონის მე-9 მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების თანახმად, „სუბიექტი (გარდა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირისა) ვალდებულია მისთვის ამ კანონით დადგენილი ფინანსური ანგარიშგება (მათ შორის, კონსოლიდირებული ანგარიშგება), მმართველობის ანგარიშგება (მათ შორის, კონსოლიდირებული ანგარიშგება), სახელმწიფოს მიმართ განხორციელებული გადახდების შესახებ ანგარიშგება და ამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში აუდიტორული დასკვნა ერთად, დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს საანგარიშგებო პერიოდის მომდევნო წლის 1 ოქტომბრისა, წარუდგინოს სამსახურს მის მიერ დადგენილი წესით“. ასევე, „თუ სუბიექტის საანგარიშგებო პერიოდი არ ემთხვევა კალენდარულ წელს, იგი ვალდებულია სამსახურს წარუდგინოს ანგარიშგება მისი ხელმისაწვდომობისთანავე, დაუყოვნებლივ, მაგრამ საანგარიშგებო პერიოდის დასრულებიდან არაუგვიანეს 9 თვისა“.

კანონის 26-ე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების შესაბამისად, „ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისთვის სამსახურმა შეიძლება სუბიექტის მიმართ ფულადი ჯარიმის ნაცვლად წერილობითი გაფრთხილება გამოიყენოს. სამსახურის მიერ განსაზღვრულ ვადაში, რომელიც არ უნდა იყოს 1 თვეზე ნაკლები, სუბიექტის მიერ წერილობითი გაფრთხილებით დადგენილი მოთხოვნის შეუსრულებლობამ შესაძლებელია გამოიწვიოს სუბიექტის დაჯარიმება..“. „სამსახური

სუბიექტს რისკების მართვის სისტემის საფუძველზე შეისწავლის. რისკების მართვის სისტემაში არსებული და საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მიერ მიწოდებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე სამსახური იღებს სუბიექტისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე გადაწყვეტილებას“.

სუბიექტის მიერ სამსახურს 2024 წლის საანგარიშგებო პერიოდის ანგარიშგება 2025 წლის 27 ივნისს წარედგინა.

კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სამსახურმა განახორციელა წარდგენილი ანგარიშგების კანონითა და „ანგარიშგების ვებგვერდზე მომხმარებელთა რეგისტრაციის, სუბიექტების მიერ ანგარიშგების წარდგენისა და წარდგენილი ინფორმაციის გასაჯაროების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2019 წლის 21 მაისის №6 ბრძანებით დამტკიცებული წესით (შემდგომ - წესი) დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის გადამოწმება და გამოარკვია, რომ წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „სუბიექტი კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ტ“-„ქ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, ზომითი კატეგორიის განსაზღვრის ჩანართში მითითებული პერიოდებისთვის ავსებს შემდეგ ველებს: ა) საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს აქტივების ჯამური ღირებულება; ბ) საანგარიშგებო პერიოდის შემოსავალი; გ) საანგარიშგებო პერიოდში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა“. ხოლო სუბიექტს ზომითი კატეგორიის ჩანართის შესაბამისი ველები შევსებული არ აქვს ციფრული ფორმების შესაბამისად.

ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე, სუბიექტის მიმართ გაცემულ იქნა „უცხოური საწარმოს ფილიალი „ლე ლაბორატუა სერვისს წარმომადგენლობა“-ს მიერ წარდგენილ ანგარიშგებაზე ხარვეზის დადგენის შესახებ“ სამსახურის უფროსის 2025 წლის 2 ივლისის N150226 ბრძანება, რომლის სარეზოლუციო ნაწილის პირველი პუნქტის თანახმად, სუბიექტს ხარვეზების აღმოსაფხვრელად განესაზღვრა 10 სამუშაო დღე. ბრძანებას სუბიექტი გაეცნო 2025 წლის 4 ივლისს.

2025 წლის 7 ივლისს, სუბიექტმა მიმართა სამსახურს და მიუთითა, რომ წარმოდგენდა უცხოური საწარმოს წარმომადგენლობითი ოფისის ფილიალს, რომელსაც არ აქვს შემოსავალი და შესაბამისად, ზომითი კატეგორიის განსაზღვრის ჩანართში ვერ შეავსებდა საანგარიშგებო პერიოდის შემოსავლის ველს.

ადმინისტრაციულ სფეროში პრევენციული ზომების მიღებისა და ადმინისტრაციული ორგანოს სისტემის თვითკონტროლის მიზნებისათვის, სამსახურმა უზრუნველყო მის მიერ მიღებული საბოლოო გადაწყვეტილების გადასინჯვა. სუბიექტთან მიმართებაში მიღებულ გადაწყვეტილებაში გამოვლინდა საკითხთან დაკავშირებული შემდეგი შეუსაბამობა:

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან 2023 წლის 7 ნოემბრის NB23160296 ამონაწერით დასტურდება ის ფაქტი, რომ სუბიექტი ნამდვილად წარმოდგენს უცხოური საწარმოს ფილიალს.

კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, ამ კანონის მიზნებისთვის სუბიექტი შეიძლება იყოს: „საჯარო სამართლის და კერძო სამართლის იურიდიული პირები, გარდა საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციისა და საქართველოს ეროვნული ბანკისა, **სხვა ქვეყნის საწარმოს ფილიალი**, ინდივიდუალური მეწარმე, თუ ისინი აკმაყოფილებენ ამ პუნქტის „უ“-„ქ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ საწარმოთა შემოსავლის, ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენებული აქტივების და დასაქმებულთა რაოდენობის კრიტერიუმებს;

აღნიშნული სუბიექტი წარმოდგენს სხვა ქვეყნის საწარმოს ფილიალს, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის თანახმად, ფილიალი არ ჩაითვლება ცალკეულ იურიდიულ პირად. ხაზგასასმელია, რომ აღნიშნული საწარმო ნებისმიერ თანხას იღებს ძირითადი საწარმოს (მესამე მხარე) სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების მიზნებიდან გამომდინარე და აღნიშნული სარგებლის მიღება ძირითადი საწარმოს ეკონომიკური საქმიანობის შედეგია. კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად **შემოსავალი** განიმარტება როგორც: „კანონის მიზნებისათვის სუბიექტის მიერ

ძირითადი ეკონომიკური საქმიანობის შედეგად, საქონლის გაყიდვიდან ან/და მომსახურების გაწევიდან მიღებული მთლიანი სარგებელი. შემოსავალი არ მოიცავს სავაჭრო ფასდათმობას, არაპირდაპირ გადასახადს, **მესამე მხარის სახელით მიღებულ თანხებს** და სუბიექტის კუთვნილი აქტივების გამოყენებიდან დივიდენდის, პროცენტისა და როიალტის სახით მიღებულ ეკონომიკურ სარგებელს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი სარგებლის მიღება სუბიექტის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობის შედეგია“. კანონის თანახმად, ვინაიდან, **მესამე მხარის სახელით მიღებული თანხა** არ აღიარდება შემოსავლად, სუბიექტი ზომითი კატეგორიის განსაზღვრის ჩანართში ობიექტურად ვერ შეავსებდა საანგარიშგებო პერიოდის შემოსავლის ველს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან დასტურდება სუბიექტის განცხადებაში მითითებული გარემოება, რომ მას არ აქვს დამოუკიდებელი შემოსავალი და შესაბამისად, ზომითი კატეგორიის განსაზღვრის ჩანართში ფილიალი ობიექტურად ვერ შეავსებდა საანგარიშგებო პერიოდის შემოსავლის ველს.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-10 მუხლის შესაბამისად, „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად (გადაცდომად) ჩაითვლება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი წესრიგის, საკუთრების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, მმართველობის დადგენილი წესის ხელმოფი მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული (განზრახი ან გაუფრთხილებელი) მოქმედება ან უმოქმედობა, რომლისთვისაც კანონმდებლობით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა“.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის (შემდგომ - კოდექსი) მე-6 მუხლისა და მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ადმინისტრაციულ ორგანოს რომელიმე საკითხის გადასაწყვეტად მინიჭებული აქვს დისკრეციული უფლებამოსილება, იგი ვალდებულია ეს უფლებამოსილება განახორციელოს კანონით დადგენილ ფარგლებში. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია განახორციელოს დისკრეციული უფლებამოსილება მხოლოდ იმ მიზნით, რომლის მისაღწევადაც მინიჭებული აქვს ეს უფლებამოსილება. დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას არ შეიძლება გამოიცეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, თუ პირის კანონით დაცული უფლებებისა და ინტერესებისათვის მიყენებული ზიანი არსებითად აღემატება იმ სიკეთეს, რომლის მისაღებადაც იგი გამოიცა. დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გათვალისწინებულმა ზომებმა არ შეიძლება გამოიწვიოს პირის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა. კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას მოქმედებდა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, წერილობით დასაბუთებაში მითითებულ უნდა იქნეს ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას. ამავდროულად, ამავე კოდექსის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.

კოდექსის 60¹ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები“. ამავე მუხლის მე-3 და მე-7 ნაწილების თანახმად, „ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს ბათილად ცნობს მისი გამომცემი ადმინისტრაციული ორგანო, ხოლო საჩივრის ან სარჩელის შემთხვევაში – ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო ან სასამართლო“, ამასთან, „ადმინისტრაციული ორგანო ან სასამართლო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობასთან ერთად განსაზღვრავს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეწყვეტის სამართლებრივ შედეგებს. შესაძლებელია განისაზღვროს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეწყვეტა მისი ძალაში შესვლის დღიდან“.


საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-10 მუხლისა და კოდექსის 60¹ მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ბათილად იქნეს ცნობილი „უცხოური საწარმოს ფილიალი „ლე ლაბორატუა სერვის ფარმომომადგენლობა“-ს მიერ წარდგენილ ანგარიშგებაზე ხარვეზის დადგენის შესახებ” სამსახურის უფროსის 2025 წლის 2 ივლისის N150226 ბრძანება მისი ძალაში შესვლის დღიდან.

2. ბრძანება გაცნობიდან ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის საბჭოში (მის: ქ.თბილისი, გორგასლის N16) ან თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი N64).

ზაზა რუხაია



სამსახურის უფროსის მ. შ.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური

